1927 წ. იანვარი.

№ 13.

ფასი 2 ფრ.

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante

Édition mensuelle

1927. — JANVIER № 13

Prix : 2 fr.

საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანო.

მემვიდე წელიწადი.

«სისხლისგან იცლება ჩვენი ერი, ყველა მისი კლასები»—ვკითხულობთ საქართველოდან მოსულ ინფორმაციაში, რომელიც მოთავსდა ჩვენი გაზეთის დეკემბრის ნომერში. ამაღელვებელი ამბებია იქ მოთხრობილი. ციხეები და ჩეკის ჯურღმულები ვერ იტევს მამულის ერთგულ შვილებს, და მათ აწამებენ, დასცინიან. არ არჩევენ პოლიტიკურ ტყვეს სისხლის სამართლის დამნაშავისაგან, პირველს მეორედ აცხადებენ განზრახ, რომ გაიადვილონ მისი მოსპობა და შემდეგ თავის მართლებაც უცხოეთის საზოგადო აზრის წინაშე. გზავნიან ეტაპს ეტაპზე, ნახევრათ შიშვლებს, შორეულ ჩრდილოეთში, რათა, რაც მათ ვერ დააკლეს, სუსხიანმა ჰავამ შეუსრულოს. სოლოვკი პოლიტიკურებისთვის გავაუქმეთო—აცხადებდა ევროპის გასაგონათ მოსკოვის საგენტო, ხოლო ქართველებს იქვე გზავნიან. იმავე დროს ხვრეტენ, ხვრეტენ დაუსრულებლივ, გაუსამართლებლათ, ქურდულათ. «საერთოთ ჩეკაში წესათ არის მიღებული, რომ ორ კვირაში, ან უკიდურეს შემთხვევაში, თვეში ერთხელ მაინც უნდა დახვრიტონ ათობით ტუსაღები, და ამ რიგათ ორ უკანასკნელ წელიწადში 500-ზე მეტი დახოცესო—გვიჩვენებს მოკლეთ ჩვენი მემატიანე და რამდენიმე ათეული სახელიც მოჰყავს.

აი, რა ჯამით გადავდივართ ძველიდან ახალ წელში. ეს ახალი მსხვერპლია, ახალი საფლავები აჯანყების შემდეგ. მტერი კი არწმუნებდა ევროპის პრესას, საქართველო სრულს განცხრომაშია, არსაიდან უკმაყოფილება, არსაიდან ჩივილიო! მის მიერ დაქირავებული უცხო «დელეგაციები» თფილისის ციხეებშიც—ჩეკაში არ შეუხედნიათ—ვერ პოულობდენ უკმაყოფილოს, მომჩივანს.

მაშ რად დასჭირდათ ამდენი სისხლი, წამება, ბორკილები, ციმბირი? ჰგავს, ყველაფერი არ ყოფილა თავის რიგზე, ხალხი თავისას არ იშლის, ერთგული რჩება თავის იდეალს, იბრძვის, რა სახითაც და წესით ეს მისთვის მოსახერხებელია. მტერი, იმის გარდა, რომ ლაჩარია—ის მალავს დახვრეტილთა სახელებს—, ძალზე რეგვენიცაა. მას ჰგონია, დამოუკიდებლობის იდეა ახალი ხილია ქართველი ერისთვის, მხოლოდ 1918 წ. მოვლენილი, და ამიტომ ცეცხლითა და მახვილით ლამობს მის აღმოფხვრას.

ამაო ცდა! მტერი ვერ მიაღწევს თავის მსუნაგ მიზანს. რაც უფრო მეტ სიმხეცესა და მტარვალობას სჩადის, მით უფრო მეტ ზიზღსა და სიძულვილს ჰგვრის ის თავისადმი ხალხს, მით უფრო მეტის სიძლიერით იყვარებს ხალხი დაკარგულ თავისუფლებას. ტანჯვა, წამება ბრწყინვალე შარავანდედით ჰმოსავს წმინდა ეროვნულ საქმეს, მისთვის თავდადებულთ და მოუწოდებს ხალხს მეტი სიმტკიცისაკენ, მეტი შეურიგებლობისაკენ. ქართველობა ისტორიული ერია, მას ვერ გასტეხს დღევანდელი ვარამი, რომელიც მხოლოდ მოკლე ეპიზოდია მის ხანგრძლივ და მრავალფეროვან თავგადასავალით აღსავსე ცხოვრებაში.

ქართველი ერი პატარაა რაოდენობით, მაგრამ ძლიერია თვისებით. ის ვერ აჰყვება წუთიერ გულისთქმას, აღშფოთებას, ან კიდევ შურისძიების გრძნობას. გრძნობა გონებას მორჩილებს მასში. ის აკვირდება შექმნილ მდგომარეობას, თვალყურს ადევნებს რუსეთის ამბებს, სწავლობს მტერს და ასე გაგებულ სინამდვილეს უფარდებს თავის მოქმედებას. მან იცის, რომ ბევრათ უფრო მრავალრიცხოვანი მტერი მზათაა ფიზიკურათ გასრისოს ის, თუ საიმისო საბაბი ჩაიგდო ხელში. ამიტომ გამძლეობა, სიფხიზლე, მოთმინება—აი რა მართებს ჩვენს ერს.

დიდ ხანს არ დასჭირდება მას ცდა. რუსეთი დიდი გადატეხვის მიჯნაზედ სდგას, 1927 წელი, მოსალოდნელია, საბედისწერო გახდეს მისთვის. რუსეთის დღევანდელმა ბატონებმა სულიერი სიმშვიდე დაჰკარგეს, ისინი საკუთარის თვალით ხედვენ, როგორ ეცლებათ ფეხიდან ნიადაგი, როგორ იძირებიან. სტალინის სიტყვები, კომინტერნის პლენუმზედ წარმოთქმული—თუ სოციალიზმს ვერ დავამყარებთ, ხელისუფლებას უნდა ჩამოვცილდეთო—ნამდვილი გედის სიმღერაა. სოციალიზმს და ისიც მარტო რუსეთში ვერ დაამყარებენ, რა თქმა უნდა, მაგრამ, ვინაიდან ხელისუფლებასაც ვერ ელევიან, იძულებული არიან, წინააღმდეგში არწმუნონ ქვეყანა.

როდემდის? რუსეთი ებმის საშინაო და საგარეო ახალ-ახალ სიძნელეთა ხლართში. მისი გახსნა შეუძლებელია, გარდუვალია გაჭრა. სტალინის გადიქტატორება და ორჯონიკიძის მისი «გვამის» მცველად გახდომა, თფილისიდან ჩაყვანილ მაუზერიან ბიჭებით, უკვე მოწმობს, რომ ეს ოპერაციაც ჩქარა უნდა მოხდეს. ბოლშევიკებმა ამოსწურეს ყველა ცოცხალი ძალები, მათ რიგებში არავინ დარჩა, გარდა თავკეტიან კობასი, და ამას კი უფრო თავის თავის დაცვა ეხერხება, ვინემ სახელმწიფოს წარმართვა; პირველი მიზანია მისთვის, მეორე—საშუალება. ასეთ პირობებში რა გასაკვირია, «კავშირი» დაიშალოს და მის ნანგრევებზედ ახალი ეროვნული სახელმწიფოები გაჩდნენ.

ამიტომ უაღრესი მნიშვნელობისაა ქართველ ერისთვის ზედმიწევნით იცოდეს, თუ რა ხდება სხვა ჩაგრულ, განსაკუთრებით მეზობელ ერებში, რა სულისკვეთებაა მათში, როგორია მათი გეზი, ბრძოლის ტაქტიკა. მარტო ცოდნა არ კმარა, საჭიროა დაახლოება მათთან, აქტიური ჩარევა, თაოსნობის გამოჩენა, გავლენის მოხდენა. უნდა გვახსოვდეს, როგორც კი დაიწყება ნგრევის პროცესი ცენტრში, ეს ერები გამოვლენ პოლიტიკურ ასპარეზზედ, მოინდომებენ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას, არ დაერიდებიან ამისათვის ხელჩართულ ბრძოლასაც. ამ რიგათ, მათი და ჩვენი გზები ერთათ იყრება, მიზანი იგივეა, უფრო ხშირათ საშუალებაც, ცხადია—ჩვენმა ერმა არ უნდა გაუშვას არც ერთი შემთხვევა მათთან მჭიდრო კავშირის დასაჭერათ.

მჭიდრო კავშირმა პირველ რიგზე თვით ქართველ ერში უნდა ჰპოვოს თავისი განსახიერება. არსებულ პირობებში, როცა მტერი არ ინდობს არავის და არასფერს, რაც ოდნავ მაინც მოაგონებს ადამიანურ და ეროვნულ სახის შენარჩუნებას; როცა ერს დახშული აქვს გზა და კარი პოლიტიკურ და ეკონომიურ თვითმოქმედებისა, გონებრივ და ზნეობრივ წრთვნისა; როცა ფიზიკური განადგურებით ემუქრებიან მის ცოცხალ ძალებს—ასეთ პირობებში დიდ დანაშაულად და ღალატად უნდა ჩაითვალოს ყველივე, რაც სთიშავს, არღვევს, ასუსტებს ერთ მთლიან ეროვნულ ფრონტს. ერი და მისი კეთილდღეობა უმაღლეს მიზნად უნდა იქნეს მიჩნეული და მას უნდა დაექვემდებაროს ყოველივე ჯგუფური, კლასობრივი, პიროვნული.

მხოლოდ და მარტო ამ საშუალებით შეუძლია პატარა ქართველ ერს დაიცვას თავისი სახეობა, მოიპოვოს თავისუფლება, არ დაიხიოს მსხვერპლი წინ. ჩვენ დარწმუნებული ვართ და საქართველოდან ჩამოსულნიც იმას გვიდასტურებენ ერთხმათ, რომ ჩვენი ერი გამსჭვალულია სწორეთ ამ სამღვთო ერთობის აზრით და გრძნობით და ხელმძღვანელებსაც მხოლოდ ამის განმტკიცებას მოსთხოვენ. ამით აიხსნება ის დამახასიათებელი მოვლენაც, რომ ხალხი არ წუწუნებს, არ სჩივის, არც არავის აბრალებს მის თავზედ დატეხილ უბედურებას, სხვა არ იყოს რა, ამეებისთვის დღევანდელი მომენტი სრულიად შეუფერებლად მიაჩნია მას.

გავიხსენოთ, რას წარმოადგენდა ქართული კითხვა ამ რამდენსამე წლის წინათ უცხოეთის თვალში—არაფერს, იგი არც კი იდგა პოლიტიკურათ, არავის აინტერესებდა. ასე არ არის დღეს. ქართველ ერს ბევრი მეგობარი გაუჩნდა მას აქეთ არა მარტო ევროპაში, ამერიკაშიც. მისი სვე-ბედი აინტერესებთ როგორც ფართე წრეებს, ისე პოლიტიკურ მოღვაწეებს. ქართული კითხვა დასმულა არა ერთ და ორ საერთაშორისო კონგრესზედ და კონფერენციაზედ, ცალკე სახელმწიფოთა მართველ წრეებში, პარლამენტებში... პრესაც ხომ პერიოდულათ ეხება მას. საერთო წესად იქცა, რომ, როდესაც უნდათ დაახასიათონ მოსკოვის ფლიდი და ვერაგი პოლიტიკა, სანიმუშოთ საქართველო მოჰყავთ. ახლმა ინფორმაციამაც, რომელზედაც თავში გვქონდა ლაპარაკი, გამოხმაურება ჰპოვა, განსაკუთრებით ინგლისში.

ყველა ეს და ბევრი სხვაც, რომელზედაც შეჩერება შორს წაგვიყვანდა, ნაყოფია ქართველ ერის შეუპოვარ ბრძოლისა, მის ხელმძღვანელთა დაუღალავ მუშაობისა. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ასპარეზზედ ახლათ გამოსულ ჩაგრულ ერთა შორის ქართველი ერი პირველია, რომელსაც ყველაზე მეტი ყურადღება და სიმპატია აქვს დამსახურებული. ამით გაბოროტებულ მტერს ბრაზი ერევა და ჯავრს იყრის გათოკილ და უიარაღო ხალხზე. ეგ სწორეთ დესპოტიის ადათია, როცა ახლოვდება მისი დასასრული, უთუოთ სასიკვდილოთ დაჭრილ ნადირს უნდა დაემზგავსოს, საზარლათ ღრიალებს, გასახლეჩათ ეკვეთება მოპირდაპირეს-..

ჩვენთვის მეშვიდე, ხოლო მტრისათვის მეათე წელი სავსეა უამრავ ასაფეთქებელი მასალით. ჩვენ არ ვიცით, საიდან მოედება მას ცეცხლი; შესაძლებელია, როგორც ეს მუდამ ხდება რუსეთში, გარედან დაეცეს ნაპერწკალი. ამისათვის თითქოს ძალიან ცდილობს მოსკოვი, მთელი მსოფლიოს ყურადღება მიჯაჭულია ჩინეთზე და იქ ხომ ის წამკიდებლის როლს თამაშობს.

საჭიროა, ერმა არ დაჰკარგოს წონათსწორობა და თვალახილულათ, დარაზმულათ, მომზადებულათ დახვდეს მოახლოებულ დიდ ამბებს. ამას აგონებს ერს ახლათ გაღებული სისხლიც, თავდადებულთა წმინდა საფლავები.

ჩვენი მომავალი.

ცნობილია საზოგადოებრივი ცხოვრების სირთულე, მის ლაბირინტში ორიენტაციის სიძნელე. ძნელია, თითქმის შეუძლებელია, სრული ისტორიული წინათქმა, სრული ისტორიული წინდახედულება, მაგრამ სავსებით შესაძლებელია ისტორიული პროცესის ძირითადი ხაზების აღნუსხვა, ისტორიული ტენდენციის გაგება და აქედან თეორეტიული თუ პრაქტიკული დასკვნების გამოტანა, ორიენტაციის საკითხის მეცნიერული—მიზან-შეწონილი გადაწყვეტა.

ცხოვრება ზღვაა, ერი—გემი. ერი უპერსპექტივოთ იგივეა, რაც გემი უკომპასოთ და უკაპიტნოთ. პერსპექტივა ნათელი, გამოკვეთილი, გზის მანათობელია, სტიქიონის ბობოქრობის დროს მხსნელი. და რომ პერსპექტივა გიზიდავდეს, გხიბლავდეს და გამოქმედებდეს, უნდა გწამდეს იგი, გწამდეს მისი ძლევამოსილება.

როგორია ჩვენი პერსპექტივა, რას გვიმზადებს მომავალი?

1918 წ. 26 მაისს ქართველმა ერმა გამოაცხადა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთ. მოსკოვის ჯალათებს შეშურდათ ჩვენი თავისუფალი არსებობა, შემოგვესიენ, დაგვიპყრეს და აგვაწიოკეს. ქართველი ერი არავითარ მსხვერპლს არ ერიდება მტარვალებისაგან თავის დახწევისათვის. არის ბრძოლა სასტიკი და განუწყვეტელი.

რა აძლევს ამ ბრძოლაში მორალურ სიძლიერეს ქართველ ერს, საიდან არის ეს მოუდრეკელი სტიმული მისი გაუნელებელი აღფრთოვანებისა დამოუკიდებელი არსებობისათვის?

რწმენაში, რომ საქმე, რომლისთვის ის იბრძვის, მართალი საქმეა, რომ ამ საქმის განხორციელება არამც თუ შესაძლებელია—აუცილებელიცაა.

ცხადია, მარტო სურვილი დამოუკიდებელი არსებობისა არ კმარა, რომ ერმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს და განამტკიცოს. ამისათვის საჭიროა ბევრი პირობები, რომელთაგან ზოგნი შიგნით ეროვნულ სახელმწიფოს ფარგლებში არსებობენ და ზოგნი გარეთ.

საკუთარი თავის მონახვას, ეროვნულ თვითგამორკვევას სხვა ხელსაყრელ პირობებთან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ სახელმწიფოს შექმნაში. შესაძლებელია, იყოს ყველა ობიექტიური ხელსაყრელი პირობები ეროვნულ სახელმწიფოს შექმნისათვის და არ არსებობდეს სუბიექტიური მომენტი, ერს არ ქონდეს შეგნებული დამოუკიდებელი არსებობის საჭიროება და შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში სუბიექტიური მომენტი გადამწყვეტ უარყოფითს როლს ითამაშებს.

შესაძლებელია მეორე ამის საწინააღმდეგო უკიდურესობა: ეროვნული თვითშეგნება უაღრესათ განვითარებული, დამოუკიდებელი არსებობის სურვილი უძლიერესია და არაა ხელსაყრელი ობიექტიური პირობები.

ამ შემთხვევაში ერი რჩება დამოკიდებული, მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნისათვის იქნებოდა წყლის ნაყვა და აქტიობა ერისა ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით ისეთი აქტიობა, რომელიც ფიზიკური მსხვერპლის გაღებაში გამოიხატება, იქნებოდა ყოვლათ გაუმართლებელი უგნურება. და ვერც გამოიწვევდა ასეთი უიმედო საქმე დიდ თავგანწირვას, ხანგრძლივ მეთოდიურ ბრძოლას.

ქართველი ერი კი იბრძვის დაუღალავათ, მსხვერპლი მსხვერპლზე მიაქვს დამოუკიდებლობისათვის და ეს იმიტომ, რომ მისი გამარჯვება უეჭველია.

საბუთები:

ისტორია ქართველი ერისა: ქართველმა ერმა ჯოჯოხეთურ პირობებში მრავალი საუკუნის განმავლობაში არამც თუ შეინარჩუნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, დაიცვა ფსიქო-ფიზიკური თავისებურება, შექმნა მდიდარი ეროვნული კულტურა, რომელსაც განცვიფრებაში მოყავს ყველა უცხოელი, რომელიც კი მას ეცნობა.

ეს პრაქტიკული—ბიოლოგიური მომენტი—უნარიანობა არსებობისა და წარმატებისა, დაძლევა ყოველგვარ დაბრკოლებისა საკუთარი ფსიქო-ფიზიკური სახის შესანარჩუნებლათ და განსავითარებლათ—უდიდესათ მნიშვნელოვანია როგორც კერძო ინდივიდის, ისე ერის ცხოვრებაში.

სურვილი საკუთარი სახის შენარჩუნებისა ყოველ ცოცხალ არსებას აქვს, მაგრამ უნარი კი რჩეულთ.

ძველათ, როდესაც მხოლოდ ფიზიკური ძალა იყო სამართლის გამჩენი და არ არსებობდა არავითარი ნორმები საერთაშორისო ურთიერთობის მოსაგვარებლათ, უეჭველია, იყო საშიშროება ქართველი ერის დაღუპვისა უთანასწორო ბრძოლაში მრავალ რიცხოვან მტრებთან. მაგრამ ეს არ მოხდა. ქართველმა ერმა, როგორც ვსთქვით, გამოიჩინა საკვირველი უნარი თვით არსებობისათვის ბრძოლაში. მაგრამ შესაძლებელია ქართველი ერი, როგორც სუბიექტი, ბედნიერ ვარსკვლავზე იყოს გაჩენილი, მისი ფსიქო-ფიზიკური კონსტრუქცია სრული, მისი შინაგანი აქტიობა დაუშრეტელი და მას არ ქონდეს მატერიალური ბაზა დასაყრდნობი.—არა. ამ მხრივაც ჩვენი ქვეყანა ბედნიერ ღღეზეა გაჩენილი. საქართველო იშვიათად მდიდარი ქვეყანაა თვისი ბუნებრივი სიმდიდრით—მადნეულობით, ტყით, სამკურნალო წყლებით, ადგილებით და სხვ.

ეს სიმდიდრე ხელუხლებელი და გამოუყენებელია.

გვაქვს აგრეთვე მთლიანი ტერიტორია, საზღვრებზე ბუნებრივი სიმაგრენი, გვაქვს ზღვა. ესე იგი შიგნით, ეროვნულ სახელმწიფოს ფარგლებში გვაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა დამოუკიდებელი არსებობისა და წარმატებისათვის.

ეხლა გავიხედოთ გარეთ. შესაძლებელია საერთაშორისო ვითარება და საერთოდ ისტორიის ბორბლის ტრიალი ემუქრება ჩვენ დამოუკიდებლობას?—საბედნიეროთ, ამ ფრონტზეც გამარჯვებული ვართ.

საერთაშორისო ურთიერთობა, რა მხრივ არ უნდა ავიღოთ ის, ჩვენი დამოუკიდებელი არსებობის სასარგებლოთ არის განწყობილი.

საერთაშორისო ურთიერთობაში უნდა გავარჩიოთ—საერთაშორისო უფლება, საერთაშორისო მორალი, საერთაშორისო კონკრეტიული, პრაქტიკული ინტერესი და მაზე აგებული პრაქტიკული პოლიტიკა და საერთაშორისო ტრადიცია. ყველა ეს მომენტები, როგორც ცალცალკე აღებული, ისე ერთათ შეზავებული, ხელს უწყობენ ჩვენ ეროვნულ დამოუკიდებლობას.

გავარჩიოთ.

საერთაშორისო უფლება. საქართველო ცნობილია როგორც სუვერენული სახელმწიფო ევროპის მიერ. ევროპაში საერთაშორისო უფლებრივი თვალსაზრისით საქართველოს საკითხი მოგვარებულია. ამერიკა იყო აქამდე გაჩუმებული. დღეს იქაც საქართველოს ეროვნული მთავრობის ცნობის საკითხი დღის წესრიგშია. მე ხელთა მაქვს ამერიკის მთავრობის მიერ გამოცემული სამას სამოც-და ერთ გვერდიანი წიგნი საქართველოს შესახებ—სათაურით—«საქართველო—ნაციონალური რესპუბლიკა». ეს წიგნი ძლიერ მდიდარია ცნობებით საქართველოს შესახებ. ფაქტი ამ წიგნის გამოცემისა ცხად ყოფს, თუ რამდენათ ძლიერაა დაინტერესებული ამერიკის მთავრობა საქართველოს საკითხით.

საერთაშორისო მორალი. ასევეა საერთაშორისო მორალის ხაზზე. მთელი კულტურული კაცობრიობა, საერთაშორისო დემოკრატია დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს ჩვენი ეროვნული საქმეების ჰიმდინარეობას. სწუხს ჩვენი წუხილით და ხარობს ჩვენი სიხარულით. სწორეთ იმ ფაქტით, რომ საქართველოს საკითხი გადაიქცა საერთაშორისო სინდისის და პრინციპის საკითხათ—აიხსნება დაარსება საქართველოს დამხმარე კომიტეტებისა მეცნიერების, მწერლების და გავლენიან პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ სხვა და სხვა ქვეყნებში და ქალაქებში. საქართველოს საკითხი უპოპულიარესია დღეს ევროპაში, ასეთივე ხდება ის ამერიკაში. მორალურ ხაზზე გამარჯვებული ვართ. ვინც ჩვენ წინააღმდეგ მახვილს აიღებს,—ის მორალურათ მკვდარია.

საერთაშორისო ინტერესი. ყველასათვის ცხადია, რომ დიდი რუსეთის არსებობა არც ევროპის, არც ამერიკის ინტერესს არ შეადგენს. რუსეთი ძლიერი, მოქიშპე შორეულ და მახლობელ აღმოსავლეთში არავისათვის მისაღები არ არის. რუსეთი დღეს ყოველ მხრივ დაუძლურებულია. საუკეთესო შემთხვევაა მისი დაქუცმაცებისათვის და ის დაქუცმაცებულიც იქნება.

კავკასიაში და კერძოთ საქართველოში, რასაკვირველია, რუსეთს არავინ გააჩერებს. ეს უდავო ჭეშმარიტებაა.

კავკასიას კი ორგანიზაცია ესაჭიროება, უნდა შნიქნეს იქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოებრივი ერთეული, როგორც ბუფერი აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთს შორის. ეს არის საერთაშორისო პრაქტიკული ინტერესი. ეს ინტერესი კი მოითხოვს პირველ რიგში საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

ტრადიცია. ტრადიცია წარმოადგენს თვალსაჩინო ძალას ცხოვრების მოვლენების სასწორზე. ის ერთნაირი სტიქიონია, რომელიც ასტიმულებს მოვლენებს უკვე აღებული მიართულებით.

ტრადიციის გადასალახავათ საჭიროა არაჩვეულებრივი ზომა, ჩვეულებრივი გზით მას ვერ წინააღუდგები, ე. ი. საჭიროა ძალთა ახალი კომბინაცია, მისი ახალი გეზით მომართვა. ეს კი ერთნაირი ჯანყია მოვლენების ბუნებრივი მიმდინარეობის წინააღმდეგ, რაც შესაძლებელია მხოლოთ ძველი ღირებულებათა გადაფასების შემდეგ.

ეს მძიმე და რთული ისტორიაა.

საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე ტრადიციის სამოსელშია გახვეული, ის უკვე ჩვეულება, ბუნებრივობაა. ცხოვრების ბუნებრივი მსვლელობა ჩვენ გვამაგრებს, გვამტკიცებს ჩვენს დამოუკიდებლობაში. ჩვენ არ ვებორკებით ცხოვრებას, მის პროგრესს ფეხებში. წინააღმდეგ, ჩვენ ფეხი შეუწყვეთ მის მსვლელობას. ამიტომაც მომავალი ჩვენია, ამიტომ ჯანყი ცხოვრების სინამდვილის ჩვენს წინააღმდეგ შეუძლებელია.

ისტორია. ისტორია გვიღიმის. ის სავსებით ჩვენია. მისი გული მოგებული, დატყვევებულია. ჩვენი დამოუკიდებლობა ისტორიის ამბორი, მისი სალამია. მეცხრამეტე საუკუნე ხასიათდება ეროვნული მოძრაობით. ზოგან მიზანი მიღწეულია, ზოგან მიღწევის პროცესშია. მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედს დაიშალა შექანიკურათ შეკოწიწებული ავსტრო-უნგრეთი, ასევე მოუვიდა რუსეთს და გამოიჭრა იქედან ეროვნული სახელმწიფოები. შეხედეთ ინგლისს—რა ამბავი ხდება იქ, რას შვებიან ეგრეთ წოდებული დომინიონებში? ყველა ყოველ მოხერხებულ შემთხვევით სარგებლობს, რომ, რაც შეიძლება, მეტი დამოუკიდებლობა მოიპოვოს და, როდესაც შესაძლებელი იქნება, სავსებით განთავისუფლდეს სხვის დამოკიდებულებისაგან. დაქუცმაცებულ იტალიაში, დაქუცმაცებულ გერმანიაში მოხდა ეროვნული ცენტრალიზაცია, ავსტრია გერმანიისაკენ მიექანება. ჩინეთიც კი დღეს იღვიძებს, ეროვნულ სახეს იჩენს.

ამგვარათ დამარცხდა ეროვნულ ხაზზე მექანიკური პრინციპი სახელმწიფოს აგებისა, გაიმარჯვა პრინციპმა ორგანიულმა, ეროვნულმა.

თავისუფალი, სრულყოფილი პიროვნება თავისუფალ, სრულყოფილ ერში, თავისუფალი, სრულყოფილი ერი თავისუფალ, სრულყოფილ კაცობრიობაში—აი პრინციპი და ტენდენცია ისტორიისა.

საქართველოს დამოუკიდებლობა ერთი რეალური მომენტია, რეალური აქტია ამ ტენდენციისა და ვაი მას, ვინც ამას წინააღუდგება, მას შემუსრავს და შეაჩვენებს სინამდვილე.

საიდანაც არ უნდა მიუდგეთ საქართველოს საკითხს, გამოხვალთ ქართველი ერის სულისკვეთებიდან, მისი ისტორიიდან, კულტურიდან და დღევანდელ რეალურ ვითარებაშესაძლებლობიდან, თუ ამაღლდებით საკაცობრიო მწვერვალამდე და იქედან გადახედავთ ჩვენს წარსულს და გაითვალისწინებთ მომავალს,—მიხვალთ ერთ აუცილებელ დასკვნამდე: საქართველო იყო და იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფო. მოსკოვი უძლურია ისტორიის ბორბალი უკუღმა დააბრუნოს, მით უმეტეს, რომ თვით აღარაა სუბიექტი, რეალობის აქტიური დამოუკიდებელი აგენტი.

ასეთი რწმენა—რომ მომავალი უეჭველათ მისია—აქვს ქართველ ერს. ამიტომ იბრძვის და იბრძოლებს ის თავგანწირვით მოძალადეთა წინააღმდეგ. იბრძოლებს და უეჭველათ გაიმარჯვებს. და ნეტარება თქვენ, ძენო ერისანო, თქვენ, რომელნიც ხართ აქტიური მატარებელი ეროვნული განცდების და სულის თქმის, ნეტარება თქვენ, რადგან თქვენით ხორციელდება ეროვნული უკვდავება.

ილია ნუგუბიძე.

უკრაინელთა ეროვნული მოძრაობა.

უკრაინელთა ეროვნული მოძრაობა, რომელიც ჩვენი თვალის წინ იზრდება, ფართოვდება და მაგრდება, მეტათ დიდი პოლიტიკური ხასიათის მოვლენა არის. თუ მან გაიმარჯვა და მიაღწია თავის მიზანს,—შექმნა დამოუკიდებელი უკრაინული სახელმწიფო, იგი დიდ ცვლილებას მოახდენს, როგორც აღმოს. ევროპის ხალხთა ცხოვრებაში, ისე საერთაშორისო პოლიტიკაში.

პირველ შეხედვით ეს აზრი შეიძლება გადაჭარბებულათ მოგვეჩვენოს, მაგრამ საკმარისია მოკლეთ გავითვალისწინოთ რუსეთის მდგომარეობა უკრაინის გარეშე, და მივიგონოთ წარსულიდან დიდი რუსეთის როლი საერთაშორისო პოლიტიკაში, რომ ამ აზრის სისწორეში დავრწმუნდეთ.

რუსეთი უუკრაინოთ აღარ არის ის დიდი ძლიერი სახელმწიფო, რომელიც თავისუფლათ ბრძანებლობს მთელი ქვეყნის ერთ მეექვსედ ტერიტორიაზე. უკრაინის გამოყოფა იწვევს რუსეთის ეკონომიურათ, პოლიტიკურათ და მილიტარულათ დაქვეითებას. საქმე იმაშია, რომ 30 მილიონ უკრაინელთა სახელმწიფოს შექმნა მეტად ასუსტებს რუსეთის ძლიერებას და ამავე დროს ახმარტოვებს ველიკოროსიას. აცლის მას ხელიდან ტერიტორიის უმდიდრეს ნაწილს და უხშობს გასავალს შავი ზღვისკენ. ეს ერთი.

მეორე,—უკრაინელთა ეროვნული მოძრაობის გამარჯვება არაპირდაპირაც კი, ხელს უწყობს სხვა ერების დამოუკიდებლობის აღდგენას, კერძოთ კავკასიის ერების განთავისუფლებას. შემთხვევითი არ არის ის, რომ პეტრე დიდმა და მისმა მემკვიდრეებმა ჯერ უკრაინა შეიმტკიცეს და მერმე დაიპყრეს კავკასია. იგივე განმეორდა ბოლშევიკების დროსაც. წითელმა იმპერიალისტებმა ჯერ უკრაინა დაიპყრეს და შემდეგ ამიერ-კავკასია. ეს კი გვეუბნება იმას, რომ მოსკოვის იმპერიალისტები რა ფერისაც არ უნდა იყვენ, ვერ შეძლებენ კავკასიის დაპყრობა-დამორჩილებას ისე, თუ მასთან უკრაინა არ იქნა.

მესამე,—უკრაინის დამოუკიდებლობა ერთხელ და სამუდამოთ ამაგრებს ბალტიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას და თავიდან აშორებს იმ დაპყრობის საფრთხეს, რომელზეც «დიდი რუსეთის» მოტრფიალენი, დღესაც არ იღებენ ხელს. პოლონეთსა და ბალტიის დანარჩენ პატარა სახელმწიფოთ, უკრაინის დამოუკიდებლობის შემდეგ, რუსეთის საფრთხის აღარ ეშინიათ, რაც თავის თავათ იწვევს ამ ქვეყნების მილიტარიზმისა და ფაშიზმის დასუსტებას და დემოკრატიის გაძლიერებას. მოსკოვის იმპერიალიზმის წყალობით ამ ჟამათ ხდება წინააღმდეგი: ფაშისტური და მილიტარისტული წრეების გაძლიერება და დემოკრატიის დასუსტება.

დაბოლოს, დაქვეითებული რუსეთი ველარ ითამაშებს იმ როლს საერთაშორისო პოლიტიკაში, რომელსაც იგი წინეთ ასრულებდა. უნდა თუ არა, მან ხელი უნდა აიღოს თავის პოლიტიკაზე ახლო აღმოსავლეთში და ასევე მოიქცეს, შორეულ აღმოსავლეთშიც. ჩამოქვეითებული რუსეთი უეჭველია დაკარგავს იმ გავლენას, რომელსაც იგი წინეთ საერთაშორისო პოლიტიკაზე ახდენდა.

ყველა ამის წინააღმდეგ შეიძლება ერთი დებულების წამოყენება, რომ თვით რუსეთში ზემოთ აღნიშნული მდგომარეობა გამოიწვევს მონარქიზმისა და ფაშიზმის გაძლიერებას, რომელიც თავის მოქმედების საფუძვლათ გაიხდის რუსეთისთვის «დაკარგული დიდების» დაბრუნებას. და ამ რიგათ რუსეთი მშვიდობიანობის მუდმივი საფრთხე გახდება.

რასაკვირელია ამ მოვლენას ექნება ადგილი, მაგრამ ამავე დროს გაძლიერდება იმპერიალიზმის საწინააღმდეგო ძალაც—დემოკრატია. რუსის ხალხი ამის შემდეგ ჩაფიქრდება, გონს მოვა და რუსის ისტორიკოსის სიტყვით რომ ვსთქვათ, თავის ბუნებრივ საზღვრებს მონახავს. მით უმეტეს, რომ რუსეთის მჭლე ბურჟუაზია თავის კახში ძლიერ კარგათ დაეტევა. გერმანიის მაგალითი სწორეთ ამის სასარგებლოთ ლაპარაკობს.

აი მოკლეთ ის პერსპექტივები, რომლებიც უნდა მოყვეს უკრაინის ეროვნულ მოძრაობის გამარჯვებას. მაგრამ თუ მან ვერ მიაღწია თავის მიზანს, უნდა მოველოდეთ წინააღმდეგს, ე. ი. დიდ მთლიან რუსეთსა და მის საგარეო იმპერიალისტურ პოლიტიკას.

ყოველივე ეს კარგათ აქვთ წარმოდგენილი და გათვალისწინებული რუსულ პარტიებს და ამით აიხსნება ის, რომ მათ უკრაინის დამოუკიდებლობის გაგონებაც კი ნერვებს უშლის. განსაკუთრებით ვერ იტანენ უკრაინას და უკრაინელს «ველიკოდერჟავნიკები». მათი სიძულვილი და სიბეცე იქამდის მიდის, რომ უარყოფენ სიტყვა «უკრაინის» არსებობას და მის მაგიერ «მოლოროსიას» ხმაროობენ, ხოლო თვით უკრაინელთა ეროვნულ მოძრაობას გერმანია-ავსტრიის ინტრიგათ აცხადებენ. მათ თუ დაუჯერებთ, ცალკე უკრაინული კულტურა არ არსებობს, იგი ნაწილია რუსულის, ვინაიდან ველიკოროსებიც და მალოროსებიც სლავიანებისგან წარმოსდგებიან. მათ ლოღიკას რომ გავყვეთ, მაშინ პოლონეთმა, ჩეხიამ, სერბიამ და სხვებმაც, ხელი უნდა აიღონ თავის დამოუკიდებლობაზე და მოსკოვს უნდა შეუერთდენ.

რუსეთის სლავიანოფილები სწორეთ ამაზე ოცნებობდენ. იგი ისტორიას ჩაბარდა. მართალია ძველ სლავიანოფილთა იდეა ევრაზიელებისა და «აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა ლიგის» მოტრფიალეთა სახით დღესაც გვევლინება, მაგრამ იგი გამოძახილს გარდა ველიკოროსებისა, ვერსად ვერ პოულობს. საგულისხმიეროა ის, რომ სლავიანოფილური პოლიტიკური იდეიის წინააღმდეგ გაილაშქრა სწორეთ სლავიანური სახელმწიფოს ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ცნობილმა პოლიტიკოსმა ბენეშმა.

ასე რომ, ამ მხრით, უკრაინული მოძრაობა დანარჩენ სლავიანურ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობას არ ხვდება. პირიქით, ზოგიერთი აქტიურათაც კი ეხმარება მას.

რუსეთის საზოგადოების მეორე ნაწილი—დემოკრატიული და სოციალისტური, შედარებით უფრო შორს გამჭვრეტელობას და სიდინჯეს იჩენს ამ საკითხისადმი, ვინემ პირწავარდნილი მონარქისტულ-ველიკოდერჟავნიკული, თუმცა ცალმხრივობა და ნერვიულობა მასაც საკმაოთ ეტყობა.

იგი უკრაინულ ეროვნულ მოძრაობას ცნობს, მას დიდ ანგარიშს უწევს და ცდილობს ამ კითხვის მორიგებით, შეთანხმებით, დაყვავებითა და დაჯერებით გადაჭრას. თუ წინეთ ისინი უკრაინულ მოძრაობას «გალიჩანების საქმეთ» თვლიდენ, დღეს ამ მოძრაობის საკითხზე პასუხს თვით რუსებს შორის ეძებენ და ამბობენ: რუსეთის ინტელიგენცია ყოველთვის კეთილგანწყობილებას იჩენდა უკრაინულ მოძრაობისადმი და მისი საუკეთესო წარმომადგენელნი დობროლიუბოვი და ჩერნიშევსკი ჯერ კიდევ სამოციან წლებში უკრაინისთვის ფედერაციას თხოულობდაო (დიონეო). კარგი და პატიოსანი, უკრაინული ეროვნული მოძრაობა ამით არაფერს კარგავს, პირიქით მისი ავტორიტეტი უფრო იზრდება.

მიუხედავათ ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთის საზოგადოების მეორე ნაწილიც ვერ შესძლებს რუსებსა და უკრაინელთა შორის ჩატეხილი ხიდის ისევ გადებას. მართალია, იგი მეგობრობისა და მორიგების იდეას ქადაგებს, მაგრამ ამავე დროს, მასაც, ისე, როგორც მემარჯვენეთ, დღემდის ვერ აუღია ხელი მოსკოვის გეგემონიის იდეაზე, და შეუფერებელი მეთოდებით უკრაინელთა ეროვნულ მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ის დღესაც ცდილობს ამ მოძრაობის მიწასთან გასწორებას, მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ტალახს ესვრის და ამავე დროს მოპირდაპირე მხარეს ულტიმატუმს უყენებს. ეს მათ ემჩნევათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

ყველაზე უფრო იგი ნათელი შეიქნა სახალხო სოციალისტი მიაკოტინის მოხსენების «უკრაინის საკითხი რევოლიუციის სინათლეზე» წაკითხვის შემდეგ, რომელიც მან ნოემბრის პირველ რიცხვებში გააკეთა პრაგაში.

ბ ნი მიაკოტინი რუსების საზოგადოებაში უკრაინის საკითხის «სპეცათ» ითვლება და მასთან ერთათ ცნობილი საზოგადო მოღვაწე-სოციალისტია. ისიც რუსების საზოგადოების იმ ნაწილს ეკუთვნის, რომელიც მორგებით და მოპირდაპირის დაჯერებით ფიქრობს უკრაინის საკითხის გადაჭრას. მიუხედავათ ამისა იგი შეუდგა უკრაინელთა ეროვნული მოძრაობის მიწასთან გასწორებას. სოციალისტ «სპეცის» სიტყვითაც უკრაინელთა ეროვნული მოძრაობა ავსტრია-გერმანიის გამოგონილია, რომ მას არავითარი ნიადაგი არ აქვს ფართო მასაში, რომ დამოუკიდებლობის დროს იგი პოგრომებში გამოიხატა და სხვა ასეთები. იგი ამასაც არ დაჯერდა და მშვიდობიანობის მოციქულმა მუქარას მიმართა.

შედეგი? შედეგი ის, რომ მიაკოტინის მოხსენებამ რუსის საზოგადოება, განურჩევლათ მიმართულებისა, გააერთიანა, ხოლო რუსებსა და უკრაინელთ შორის დამოკიდებულება კიდევ უფრო გაამწვავა. რუსული ემიგრანტული პრესა მიაკოტინის გამოსვლას დიდის აღტაცებით შეხვდა და მისი «საბუთები» და მუქარა დიდათ მოიწონა.

მაშ სად არის გამოსავალი და როგორ გადაიჭრება უკრაინის საკითხი?

ამაზე პასუხი თვით მიაკოტინმა და რუსულმა პრესამ მოგვცა.

—თუ თქვენ არ დაკმაყოფილდებით ფედერაციით და შეეცდებით დამოუკიდებლობის აღდგენას, მაშინ რუსეთი ძალას მიმართავს, და იგი ძვირათ დაუჯდება უკრაინას და მის კულტურასო, დასკვნა თავისი სიტყვა მიაკოტინმა.

«ჩვენ არ გვინდა ხმლით გადაიჭრას საკითხი, სწერდა კერენსკი «დნის» № 1158, მაგრამ თუ უკრაინელებმა არ შეიგნეს და არ შეგვითანხმდენ, იძულებული ვიქნებით თავი დავიცვათო». რასაკვირელია თავდამცველის როლში იქნება უკრაინა და არა მოსკოვი და კერენსკი, ვინაიდან უკრაინა დამოუკიდებლობას იცავს, ხოლო რუსეთი მას არ ანებებს და თავს ესხმის.

აქედან ცხადია, თავის ნებით, უბრძოლველათ მოსკოვი უკრაინას არ დასთმობს, ეს «დიდი რუსეთის» ყოფნა არყოფნის საკითხია, მაშასადამე ყოველი ლაპარაკი მორიგებით კითხვის გადაჭრის შესახებ, თავის მოტყვილება არის და მეტი არაფერი. ამას დღეს ორივე მხარე ხედავს [illegible] ბრძოლისთვის ემზადება.

ვინ გამოვა ბრძოლიდან გამარჯვებული [illegible] დაგვანახებს. ერთი კი დღესაც ცხადია, უკრაინელთა ეროვნული მოძრაობა ამ ჟამათ გაცილებით უფრო ძლიერია, ვინემ რევოლიუციის პირველ ხანებში იყო.

ეაქი.

ჩეხია. 28 დეკემ. 1926 წ.

ინგლისის პრესა საქართველოს შესახებ.

ინფორმაცია საქართველოში გამეფებულ ტეროორის შესახებ ერთხელ კიდევ იპყრობს ევროპის ყურადღებას. ჯერ იყო და სოციალისტურ ინტერნაციონალის მთავარმა მდივანმა, თანახმათ ირ. წერეთლის წერილისა, სპეციალური ბიულეტენი დაუგზავნა ყველა სექციებს და მიაქცია მათი ყურადღება მოსკოვის ჯალათების საქციელს საქართველოში. შემდეგ, როცა ეს ბიულეტენი სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტ. პრესაში გამოქვეყნდა, მას მიაქცია ყურადღება არასოციალისტურმა პრესამაც. ინგლისში ერთგვარი კამათიც გაიმართა, რადგან მოსკოვის «უანგაროო» მეგობრები პერსელი, კოოტრი და სხვები შეეცადენ ფაქტების გაბათილებას. ლიბერალების «მანჩესტერ გარდიანმა» და ტრავაისტების «დეილი ჰერალდმა» ხუთ-ხუთჯერ მოათავსეს წერილები ფაქტების სისწორე-სიყალბის შესახებ. უკანასკნელ გაზეთში მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას წერილიც იყო მოთავსებული, სადაც ის მოითხოვდა, დავის გადასაჭრელათ რეფერენდუმს, თანახმათ თვით ინგლისის მუშათა პარტიის რეზოლიუციისა. პერსელმა, კოოტრმა და სხვებმა შეკითხვით მიმართეს მოსკოვს. მაგრამ უკანასკნელი სდუმს ჯერ-ჯერობით.

ჩვენ გვინდა აქვე მოვიყვანოთ ინგლისის ორ დიდ კონსერვატულ გაზეთის მეთაურებიდან მთავარი ადგილები იმავე საგანზე.

17 დეკემბრის «მორინგ პოსტს» თავის მეთაურში «რას იტყვით საქართველოზე»?, მოყავს რა საქაველოს სოც. დემოკრ. ცენტრ. კომიტეტის ინფორმაცია, სხ. შორ., ამბობს: «უბედური საქართველო! ცხადია, ის ეხლა განიცდის გაცილებით უფრო საშინელ მტარვალობას, ვინემ ამას აწერდენ ცარიზმს. ბოლშევიკები ხომ ჯაჭვების დაწყვეტას ჰპირდებოდენ რუსეთს და მთელს მსოფლიოს. როგორ შეასრულეს მათ ეს დაპირება საქართველოში? ჩინებულათ! მათ შეუცვალეს ქართველებს ციმბირი თეთრი ზღვით! (სახეში აქვს სოლოვკი, სადაც ქართველებს გზავნიან). ჩვენ ვფიქრობთ, ინგლისის მთავრობა ვალდებულია ცნობად მიიღოს ეს ამბები. ბოლშევიკები ერევიან ჩინეთის საქმეებში და საბაბად ის მოჰყავთ, ვითომ ექომაგებიან მის განთავისუფლებას. ისინი ილაშქრებენ ინგლისის ეგრ. წოდ. იმპერიალიზმ-მილიტარიზმის წინააღმდეგ, მაგრამ საქართველოში სწორეთ იმას შვრებიან, რასაც ჩვენ. გვაწერენ ჩინეთში: სდევნიან ქართველთა ეროვნებას თავიანთ იმპერიალიზმის დასაკმაყოფილებლათ. რით ხელმძღვანელობდენ ისინი, როცა თავს ესხმოდენ პატარა და მათთვის უვნებელ სოციალისტურ რესპუბლიკას? ჩვენ მივმართავთ ამის ასახსნელათ ისეთ წყაროს, რომელიც სოციალისტებისთვის უმწიკვლოთ უნდა ჩაითვალოს. «პლებს ატლასს» მოჰყავს ლენსბერის «ლეიბორ უიკლიდან» ცნობები საქართველოს შესახებ, სადაც, სხ. შორ. ნათქვამია: «ბათუმი არის ბაქოს ნავთის ბოლო». დიახ, ახსნა სწორეთ ამაშია! ე. წ. ნავთის ბინძურმა კაპიტალისტურმა ინტერესებმა სძლიეს კომუნისტური რუსეთი, რომ სისხლში ჩაეხრჩო საქართველოს ნორჩი თავისუფლება». (ლენსბერი, თემთა პალატის წევრი, ტრავაისტი, ის ვაჟბატონია, რომელიც არა ერთხელ დამტკბარა ბოლშევიკების უხვი მასპინძლობით მოსკოვსა და პეტროგრადში. გარდა ნავთისა, ის პირველ-ხარისხოვან სტრატეგიულ მნიშვნელობას აწერს საქართველოს, ამიტომ უთუოდ უნდა დაეჭირა იგი მოსკოვსო!)

24 დეკ. «ტაიმსის» მეთაური «ბოლშევიზმი და ერთა ლიგა», ეხება რა მოსკოვის ორმაგ და ფლიდ პოლიტიკას, ამბობს: «საქართველოში შეუბრალებლათ იდევნება ეროვნული მოძრაობა, რადგან ის ეღობება რუსეთის ექსპანსიას. იქ ცხადდება საბჭოთა მთავრობის შიშველი იმპერიალიზმი. საჭიროა გავიხსენოთ, რომ 1924 წ. უშუალოთ შეეკამათენ ერთმანეთს ამ კითხვის გამო ერთა ლიგა და რუსეთის «კავშირი». ამ უბედურ პატარა ქვეყნის მდგომარეობა დღეს გაცილებით უარესია. თანახმათ ქართველ სოციალისტების ცნობის, ინგლისის მუშათა პარტიის სახელზე, პოლიტიკურ მოპირდაპირეთ ისე ექცევიან, როგორც სისხლის დამნაშავეს, ან კიდევ მათ კლავენ, როგორც მრავალ ათასებს წინეთ რუსეთში. არიან ქვეყნები, სადაც გამეფებულია ძალმომრეობა, აგრესია სხვების წინააღმდეგ, შეიძლება ისინი ინგლისის წინააღმდეგაც იყვნენ განწყობილი, მაგრამ ვს არ უშლის ხელს მათი ერთა ლიგის წევრებად გახდომას. სწორეთ ერთა ლიგის დანიშნულება იმაშია, რომ მოარიგოს ერები. მაგრამ ლიგის პრინციპები ისე არ ეთანხმება საბჭოთა რუსეთის პრინციპებს, როგორც სინათლეს წყვდიადი, ხმა სიჩუმეს, კეთილი ბოროტებას».

ადამიანის უფლებათა ლიგა საქართველოსათვის.

«ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დაცვის ლიგამ» გამართა ამას წინად პარიზში პროფესორ ოლარის თავმჯდომარეობით მიტინგი შემდეგ საკითხზე: «დარჩეს თუ არა საფრანგეთი სირიაში?» მიტინგს დაესწრო მრავალი მემარცხნე პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. თვით ლიგის ორატორების აზრი იყო, რომ საფრანგეთი უნდა დარჩეს სირიაში, მხოლოდ არა როგორც მისი მმართველი, არამედ მრჩეველი და დამხმარე, მართველობა სავსებით ადგილობრივ ხალხის ხელში უნდა იყოსო.

ამ დებულების წინააღმდეგ გამოვიდა ცნობილი კომუნისტი დეპუტატი და ადვოკატი, ანდრე ბერტონი, რომელმაც ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის სახელით მოითხოვა სირიის დაუყონებლივი ევაკუაცია საფრანგეთის ჯარებისაგან და ამ ქვეყნისთვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭება. ბერტონმა მოსთხოვა ლიგას (რომელშიც შედიან საფრანგეთის ყველა ცნობილი მემარცხნე მოღვაწეები) გავლენა იქონიოს თავიანთ მინისტრებზე (სახეში ყავდა ჰერიო და პენლევე), რათა დაუყონებლივ გაანთავისუფლონ სირიაში ანტიფრანგული პროპაგანდისათვის დაპატიმრებული კომუნისტები და სხვ.

ბ-ნ ბერტონს უპასუხა ლიგის გენერალურმა მდივანმა, ანრი გერნიუმ.

მან მადლობა უთხრა ბერტონს მისი გამოსვლისათვის და წინადადება მისცა, დაედო ლიგასთან ერთგვარი ხელშეკრულება. ადამიანის უფლებათა ლიგა მოსთხოვს თავის მინისტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს ბეირუთში დაპატიმრებულ კომუნისტების განთავისუფლებას, ხოლო ბატონი ბერტონი, თავის მხრით, აიძულებს თავის მინისტრებს (რუსეთში) გაანთავისუფლონ სოციალისტები და საზოგადოთ ყველა ის ერეტიკები, რომლებიც საბჭოთა მთავრობას ჩრდილოეთის პოლიუსის მიდამოებში მოუთავსებია. ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგა მზათაა ხალხთა უფლების სახელით მოითხოვოს სირიის ევაკუაცია, მხოლოდ ბ. ბერტონმა თავისი მხრით ეს პრინციპი სხვასაც უნდა გაახორციელებიოს.

«იყო ერთ დროს», სთქვა ანრი გერნიუმ, «ევროპის აღმოსავლეთით ერთი პატარა ქვეყანა, რომელმაც თავისუფლათ შეიმუშავა თავისი კონსტიტუცია, ხოლო შემდეგ ერთ დიდ მეზობელ სახელმწიფოსთან დასდო მეგობრობის და კავშირის ხელშეკრულება. მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, სრულიად უმიზეზოთ და გაუფრთხილებლათ, ეს დიდი მეზობელი დაესხა თავს პატარა ქვეყანას და ძალადობის საშუალებით დააწესა იქ დიქტატორული მთავრობა. ბ-ნი ბერტონი, რომელიც გამოდის ერთა მხურვალე დამცველათ, რა თქმა უნდა, ჩვენ გვერდში ამოგვიდგება და ჩვენთან ერთად მოსთხოვს საბჭოთა მთავრობას საქართველოს ევაკუაციას და განთავისუფლებას. ბ-ნი ბერტონი, რომელიც ასეთ სულდიდობას იჩენს, ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება. ოსმალეთს ჰქონდა თავისი შინაური გართულებაც: გაზი ქემალ ფაშის მოკვლის განზრახვა და უნიონ-პროგრესის ცნობილ ხელმძღვანელთა ჩამოხრჩობა. იმავე დროს ანგორამ შემოიღო შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი და ეხლა ფიქრობს სამღვთო რჯულის თურქულათ გადმოთარგმნას და ლათინური შრიფტით დასტამბვას. შეუძლებელია უარყოფა იმ საყურადღებო ფაქტისა, რომ მაჰმადიანი ქვეყნები გაევროპიელების გზაზედ სდგებიან და ამ რიგათ სარწმუნოებრივი მომენტი ეროვნულ მომენტს უთმობს მათში ადგილს.

საბჭოთა საქართველოში.

ბოლშევიკური ინდუსტრიალიზაცია.

ადრევაც ვსწერდით და ეხლაც უნდა გავიმეოროთ: რათა დაუმტკიცონ ყველას და მეტადრე თითონ კავკასიის ერებს, რომ მთლიანი კავკასია არსებობს, ერები ერთმანეთში მოარიგეს და თხა და მგელი ერთადა სძოვს, ეგრედ წოდებულ ამიერ კავკასიის «ცაკის» სესიას ბოლშევიკები ხან საქართველოში ნიშნავენ, ხან სომხეთში და ხან აზერბეიჯანში. ეს თრევა ამოდენა მუქთახორა ხალხისა ერთი «რესპუბლიკიდგან» მეორეში, ერთი ქალაქიდგან მეორეში, ნამდვილ ბოლშევიკურ ალილოდ იქცა. არც პროცედურაა იოლი. ხუმრობა ხომ არ არის გამოჩერჩეტებულ მიხა ცხაკაიას განჯაში წასვენება. აღამალი-ოღლის ტფილისში ამოსვენება, მერე ცხაკაიასიც და აღამალი-ოღლის ერევანში გადასვენება.

თითონ სესიის გახსნაც მუდამ დაკავშირებულია რაიმე დიდ სახელმწიფო მოვლენასთან, მაგ. კოოპერატიულ დუქნის გახსნასთან და სხვა. ამიერ-კავკასიის «ცაკის» უკანასკნელი სესიის გახსნა განჯაში დაკავშირებული იყო ამ ქალაქში ზეთის სახდელი ქარხნის გახსნასთან. საზეიმო პროგრამაც ბოლშევიკურად იყო შედგენილი. ჯერ ილაპარაკეს ორატორებმა, მერე მუსიკამ დაუკრა «ტუში», მერე ყველამ ერთად იბღავლეს საბჭოთა «მიღწევებზედ» და ჩვენი «ხანების და ბეგების» განჯა, როგორც ამბობდნენ თავის სიტყვებში ბოლშევიკები, ინდუსტრიულ ცენტრად იქნა გამოცხადებული.

განსაკუთრებული «ტორტმანი ენისა» გამოიჩინა ქართულმა ნეშომა—მიხა ცხაკაიამ.

«დღევანდელი დღე—სთქვა მან—უდიდესი დღეა მთელი ამიერ-კავკასიისათვის, კერძოდ აზერბეიჯანის მუშებისა და გლეხებისათვის და, აგრეთვე, განჯისათვის, რომელიც შენდება და იქცევა ინდუსტრიალურ ქალაქად».

რა შიგან ვართ?

განჯა ფრიად პატიოსანი ქალაქია და ოდესღაც ცნობილი იყო შესანიშნავი პოეტებით. ჩვენს დროში გემრიელი ყურძნით იყო ცნობილი და ჰქონდა ზეთის სახდელი ქარხანაც. მეფის რეჟიმის დროს განჯაში სამი და მეტი ქარხანა იყო. ბოლშევიკებმა ამათში მხოლოდ ერთი გააცოცხლეს. ეხლა გადმომდგარან და ბღივიან: შეხედეთ, რეები გავაკეთეთო.

ჩვეულებრივი ამბავია. როცა ბოლშევიკები სამ მზა ქარხანას ანგრევენ—სოციალური რევოლუცია არის. როცა ერთს აშენებენ და ისიც, ალბად, ცუდათ—ინდუსტრიაა!

მეორე ქართველი ნეშომა—მახარაძეც არწმუნებდა გაოცებულ განჯელებს: «ის ფაბრიკა-ქარხნები, რომელიც აქ პირველად შენდება, წარმოადგენს სიამაყეს არა მარტო აზერბეიჯანისთვის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიისათვისაც»-ო. რა უყოთ რომ ერთი ზეთის ქარხანა, მახარაძის თავში, უკვე «ფაბრიკა-ქარხნებად იქცა! «იაღლიში» სწორედ განჯური სიტყვაა. იმედი გვაქვს, მახარაძე რომ საქართველოში დაბრუნდება, «პარკის ფულის» ავტორი, ახლა განჯის შესანიშნავ ინდუსტრიაზედ წაუკითხავს ლექციებს ქართველ ხალხს.

«მუშურ-გლეხური» საბჭოები.

განჯა «ინდუსტრიის» ცენტრია, გაცემულია ბრძანება, რომ ამითი მთელმა ამიერ-კავკასიამ იამაყოს და ეს ხომ სულ ადვილი საქმეა. «ინდუსტრია» იყოს, თორემ სიამაყეს ულვაშის გადაგრეხის მეტი რა უნდა!

მაგრამ... განჯა განჯაა და, ათასი სთქვათ, საქართველო მაინც საქართველოა. აქ საქმე ისე ყოფილა, რომ განჯა და მისი «ინდუსტრიაც» ვერ უშველის. სიამაყეზედ ხომ ლაპარაკიც მეტია.

ბოლშევიკ-ვაჟბატონებმა «მუშურ-გლეხური რესპუბლიკა» დაიარსეს, «მუშურ-გლეხური მთავრობა» დასვეს, «მუშურ-გლეხური საბჭოები» აირჩიეს, ჩეკა რა არის, იმასაც კი «მუშურ-გლეხური» სახელწოდება მიაკრეს, მაგრამ აბა ყური დაუგდეთ «ამხანაგ კახიანს»:

«ავიღოთ ახალ-ქალაქის საბჭო: იქ წევრთა რიცხვი 57 კაცს უდრის, ხოლო მუშა სულ 3 კაციაა.

ახალ-ციხის საბჭოში წევრთა რიცხვი უდრის 119 კაცს. მუშები—15.

ლიუქსენბურგში საბჭოს 56 წევრი ჰყავს, აქედან მუშა—1.

ორის მაზრაში—143, მუშა—1.

დუშეთის საბჭოში მუშა არ შედის.

ელავის ქალაქის საბჭოში—114 წევრია, აქედან მუშა—15.

ზუგდიდის მაზრაში—45 წევრი, აქედან არც ერთი მუშა.

ოზურგეთის მაზრაში 63 წევრიდგან ერთია მუშა.

სენაკის ქალაქის საბჭოში—48 წევრია, აქედგან მუშა—3.

ქალაქ ონში 30 წევრს შორის არც ერთი მუშა არ არის».

მოკლედ, ნამდვილი ბოლშევიკური აპრუწუწუნია! მუშურ სახელმწიფოში მუშები არაფერ შუაში არა ყოფილან.

მაგრამ დავამშვიდებთ «ამხანაგ კახიანს». სამაგიეროდ ქართველი მუშები საკმაოდ არიან «წარმოდგენილნი» ჩეკაში, მეტეხში, სოლოვკებში, ტაშკენტში, სუზდალში, ციმბირში და ემიგრაციაში.

ბოლშევიკი, ცხენი, პორტფელი, გლეხი და სოფკორი.

«კატეგორიული იმპერატივი» ჰეგელს ისე არა ჰქონდა წარმოდგენილი, თუ არა ნაპოლეონი ცხენით. ბოლშევიკი ცხენით—ჯერ კიდევ პროლეტარულ რევოლუციას არა ნიშნავს, თუ უკან გლეხი არ ვისდევს ფეხით და ამ ბოლშევიკის პორტფელი არ მიაქვს.

ვიღაც ამხანაგმა მუშიშვილმა რაჭა-ლეჩხუმი მოიხელა და თავისი შთაბეჭდილებანი «კომუნისტში» გამოაქვეყნა. პეტიტით დაბეჭდილი უშველებელი ფელეტონი, თქმა არ უნდა, ბოლშევიკურ მიღწევათა ქება-დიდებაა და თან პირველად ვტყობილობთ, როგორ მოგზაურობენ ბოლშევიკები სოფლად, მეტადრე, თუ ბოლშევიკს პორტფელიც თანა აქვს.

ამხანაგ მუშიშვილს ცხენი მოართვეს და თანაც გლეხი გააყოლეს ფეხით. ძველ საქართველოში აზნაური რომ ცხენით მოგზაურობდა, მხლებელიც ცხენზედ უჯდა. მაგრამ ამან თქვენი ჭირი წაიღო, რადგანაც ეს ფეოდალიზმი იყო. დღეს ცხენზედ მხოლოდ ბოლშევიკი ზის, მხლებელი ფეხით მისდევს.

მაგრამ საკითხი არც ეს არის.

საკითხია—როცა ბოლშევიკი ცხენზედ ზის და ცალხელში აღვირი უჭირავს, ცალში მათრახი, ვინ უნდა ატაროს მისი პორტფელი? მუშიშვილმა გადასწყვიტა, რომ პორტფელი, თქმა არ უნდა, გლეხმა უნდა ატაროს. ასეც მოიქცნენ. მიდიოდნენ: ბოლშევიკი—ცალხელში აღვირით, ცალში მათრახით, მაგრამ ცხენით, გლეხი—ხელში პორტფელით, მაგრამ უცხენოთ.

მიდიოდნენ ასე და ოცნებობდნენ: გლეხი—თუ რა ჩინებული რეჟიმია ეს კურთხეული ბოლშევიკური რეჟიმი, მუშიშვილი კი იმაზედ, თუ რატომ მესამე ხელიც არ ება, რომ პორტფელიც თითონ ეზიდნა. ასეთ ფილოსოფიაში იყო გართული მუშიშვილი, როცა მოაგონდა, რომ პორტფელის გარდა საბჭოთა წესწყობილებაში კიდევ სოფკორიც არის, არსება, რომელიც თუ ამას დაინახავდა, მუშიშვილს გზეთში ჩაიგდებდა და კარიკატურაშიც გამოსჭიმავდა.

«შეგნებული» ბოლშევიკი ირწმუნება, რომ ამის შემდეგ გლეხს პორტფელი ჩამოვართვი და მე თითონ მიმქონდაო, მაგრამ ჩვენ ეს არა გვჯერა და ვფიქრობთ, რომ პორტფელი გლეხმა ბოლომდის ათრია. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ჯერ ერთი, რადგანაც მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში პორტფელი მართლა გლეხს უნდა დაჰქონდეს, მერე, თუ გლეხი სულ უშნო არ იყო, ბოლშევიკის პორტფელში მუდამ იპოვნიდა ისეთ რამეს, რაც არც იმას აწყენდა.

სავალალო, მაშასადამე, ეს არ არის.

სავალალო აქ ის არის, რომ ბოლშევიზმის «რაინდული» დღეები გავიდნენ და ბოლშევიზმი, მართლა, გადაგვარდა, «ქვეყნის მეექვსედი ნაწილი» ხელში ეჭირათ და ისიც არა ცხენზედ, არამედ მიწაზედ და ფეხშიშველებს...

ეხლა?—არა შეჯდა ბოლშევიკი ცხენსა, არა იყო გვარი მისი! პორტფელებსაც ველარ ზიდავენ!..

«დამოუკიდებელი საქართველო»

ხელისმომწერთათვის ღირს საფრანგეთში ერთის წლით 20 ფრ., ნახევარი წლით 10 ფრ. სხვა ქვეყნებში—ერთის წლით 25 ფრ., ნახევარი წლით 15 ფრ.

ქართველები საფრანგეთში.

ქართულ კოლონიისახალ გამგეობის არჩევნები. 9 იანვარს გაიმართა პარიზის ქართველი კოლონიის კრება ახალ გამგეობის ასარჩევად. კოლონიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ექიმი ბ-ნი ვახტანგ ღამბაშიძე. გამგეობის წევრებად: ბ. ბ. შ. აბდუშელიშვილი, ალ. ჯაფარიძე, ნ. ურუშაძე და ილ. დადიშკელიანი. კანდიდატებად: ბ. ბ. ალ. ამილახვარი და ნ. დგებუაძე. სარევიზიო კომისიაში კი ბ. ბ. ფ. შარაძე, მიხ. ხუნდაძე და გ. ზურაბიშვილი.

დასასრულ კოლონიის სახელით ბ-ნმა შალვა ამირეჯიბმა დიდი მადლობა გამოუცხადა კოლონიის ყოფილ თავმჯდომარეს ბ-ნ დავით სხირტლაძეს იმ მძიმე და უანგარო მუშაობისათვის, რომელიც მას წილად ხვდა კოლონიის თავმჯდომარეობის დროს.

პარიზში მყოფ ქართველ სტუდენტთა კულტურულ-აკადემიური კავშირის დაარსება. 9 იანვარს პარიზში შესდგა «პარიზში მყოფ ქართველ სტუდენტთა კულტურულ-აკადემიური კავშირის» დამფუძნებელი კრება. კრებამ მცირე შესწორების შემდეგ დაამტკიცა ახალი წესდება, რის შემდეგ აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისია. კრების მიერ კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მიხეილ ხუნდაძე, გამგეობის წევრებად: ალ. ლორდელი, ნიკ. ურუშაძე, პავ. სარჯველაძე და ალ. პაპუაშვილი. სარევიზიო კომისიაში: ფილ. შარაძე, შ. ბერიშვილი და ი. თაყაიშვილი.

კავშირის სახელით მილოცვა გაეგზავნა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის, და ინტერპარტიულ კომიტეტს.

ბოლშევიკების ერეკვნული პოლიტიკა.

(წერილი საქართველოდან)

ბოლშევიკური რუსეთი რომ შემოვიდა საქართველოში ზარბაზნების გოიალით, გადმოისროლა ეშმაკურად, მაგრამ ჩვეულებრივის რუსულის სიტლანქით, ძირგამომპალი ლოზუნგები და ქართველი რენეგატების პირით იძახოდა, რომ მოვიდა როგორც «მოკავშირე» ქართველ მუშების და გლეხების და არავითარი ქვენა ზრახვები არა აქვს ქართველი ერის წინააღმდეგ. ბოლშევიკები იმეორებდენ ლენინის ყალთაბანდურს აზრებს «მცირე ეროვნებათა» შესახებ, და აცხადებდენ: «პროლეტარიატის დიქტატურა» ერთად ერთი ჭეშმარიტი გზაა პატარა ერების ეროვნულ-კულტურულ-პოლიტიკური აყვავებისთვისო.

ამ სიტყვების მთელი სიცრუვე და სიცალიერე მალე იგრძნეს სწორედ მათ, ვისთვისაც სპეციალურად ეს სიტყვები იქნა დაწერილი. და რასაკვირველია ყველაზედ უწინ იმ ერებმა გაიგეს, რომელთაც თავიანთ ზურგზედ განიცადეს კრემლის მებატონეების «რეალური პოლიტიკა».

სწორედ მოსკოვის ბატონების მიერ ხსენებულ ლოზუნგების პრაქტიკაში გატარების შედეგია ის აუარებელი აჯანყება, რომელთაც ადგილი აქვს ე. წ. ს. ს. რ. კ-ში შემავალ პატარა ერებში, და ეს გაგრძელდება, სანამ ამ ყოვლად უაზრო და უსახო რეჟიმს ადგილი ექნება სინამდვილეში.

რომ წითელი რუსეთი ისეთივე იმპერიალისტურია, როგორიც იყო პეტრეების, ეკატერინეების, ალექსანდრეების და ნიკოლოზების, ამას დღეს მტკიცება აღარ სჭირია, და რომ ქართველი რენეგატებიც ისეთსავე სამსახურს უწევენ რუსეთს, როგორც თავ. ციციანოვები და სხვანი მისთანანი, არც ეს არის დღეს სადავო. ჩვენ გვინდა მხოლოდ ამ წერილში ვალაპარაკოთ ფაქტები.

გავეცნოთ უპირველესად ბოლშევიკების ეროვნულ პოლიტიკას ქართულს სასწავლებელში და კერძოდ უნივერსიტეტში. ეს მეტად ნათლად გამოაშკარავდა იმ წუთიდან, როდესაც სატრაპმა ორჯონიკიძემ საქვეყნოდ გამოაცხადა: ქართულს სკოლებში საკმაო სიმაღლეზედ არა სდგას რუსული ენა, და საჭიროა მისი გაკვეთილების გადიდებაო (ალბად ქართული ენის ხარჯზედ რადგან უცხო ენებს და საერთოდ სკოლებს ძალიან ნაკლები დრო უკავიათ საბჭოთა სკოლებში). ამის შემდეგ ხომ უდიდესად დამსახურებულმა ბატონ-ბატონმა ლენინმა თავისი აღის აზრი «მეცნიერულად» დასაბუთა, ქართველი ახალგაზდობა რუსეთში საექსპორტო მასალად აღიარა, რადგან ქართველი ახალგაზდობა უსაქმოდ დაეხეტება ტფილისის ქუჩებში, და ამიტომ ადვილად წამოეგება ხოლმე «სხვადასხვა ანკესებზეო».

ამ ვაჟბატონმა ის კი არა თქვა, თუ რატომ ხდება რომ ქართველები უსაქმოდ დაეხეტებიან? განა მათი ბრალია, რომ სომხეთიდან და რუსეთიდან ხალხს «ზაკაზად» იწერენ ბოლშევიკები? და ქართველებს კი თავის სამშობლოში, თავის დედაქალაქში სამსახურში არ იღებენ?

«დიდს» თედოს კვერი დაუკრა პატარა კოწიამ, რენეგატმა სულაქველიძემ. ტყუილად კი არ არის ნათქვამი «სული სულს იცნობსო».

გადავიდეთ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეებზე, შევიხედოთ სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, კოოპერატიულ დაწესებულებებში, იქნებ იქ მაინც გამოიჩინეს «ჩვენმა» კომუნისტებმა ფხა, იქნებ იქ მაინც შევხვდეთ ქართულს ენას?

გოსბანკი, ზაკსელბანკი, ვსეკობანკი, ელექტრო ბანკი, მერკურკრედიტი, ელმაშტრესტი, სელმაში, ზაკსელმაში, ზაკგოსტორგი, ზაკტპო, ლესპროში, გრუზლესპროში, ზაკხლოპკომი, გრუზხლოპკომი, ტიფ-ტორგი, ხლებოპროდუქტი, მოლკოპი, შერსტი, ტიფ-ბოინია, ურალ-მეტი, ზაკუტილსირიე, გოსპრომცვეტმეტი, აპტეკო-უპრავლენიე, გოსვესი, ხიმუგოლი, ზაკსოიუზი, ბოეც. კ. კ. ა, ტექსტილსინდიკატი, —აი რა სახელით არიან წოდებულნი საქართველოში მომქმედი სახელმწიფო დაწესებულებანი. არას ვამბობთ «ჩეკა»-ზედ, საპატიმროების სამართველოებზედ, «ცეკებზედ», «ტეკებზედ» და «ტიკებზედ» და სხვა ამისთანა თაიგულზედ, რადგან უკანასკნელთ უდავოდ ეკუთვნით ლენინის ენით მართვა, და ამაზე არავის ვედავებით. არიან კიდევ ასეთები: «არმენტორგი», «აიკოპი» და «მუკოპი». აქ არა მსახურობს ერთი ქართველი. თავი მოუყრიათ ცნობილ დაშნაკელებს, და შიგ მხოლოდ სომხურს თუ გაიგონებთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დაწესებულებათა ბეჭედზედ მხოლოდ რუსული და სომხური ასოები აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ მათი მუდმივი ბინა და საოპერაციო ბაზარი საქართველოა. რაც შეეხება «მუშკოპს» აქ ქართულიდ მხოლოდ ხანდისხან «რეგისტრატორი» თუ ჩასწერს შემოსულს ქაღალდს, თორემ სხვას ვინ დაგიდევს?

ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებებში ქართულ ენასაც კი ვერ გაიგონებთ არამც თუ ქართულს წარმოებას? მოსამსახურენი სულ არაქართველები არიან. ქართველისათვის კი საქართველოში ადგილი არაა, რუსეთში ეპატიჟებიან.

ქართველო ხალხო, წაავლე ყურებში ხელი სულელ ფილიპეს და ყბედ კახიანს, მიათრიეთ ამ დაწესებულებაში, დეე, მათ გაგცენ პასუხი, თუ რატომ ხდება, «ქართველ მუშისა და გლეხის» სახელმწიფოში ასეთი უკუღმართობა? ესაა თქვენი ეროვნული პოლიტიკა? გაეროვნება, ერთა თავისუფლება?

ქარდველმა ერმა კარგად შეიგნო, თუ რას უმზადებენ მას ბოლშევიკები და მისი პასუხი მხოლოდ ერთია: ბრძოლა მოძალადეების და გამრუსებლების წინაამდეგ!

გიორგი.

ჟურნალი «პრომეთე».

გამოვიდა ჟურნ. «პრომეთე»-ს მეორე ნომერი, ფრანგულ ენაზე. ჟურნალში, რომლის მიზანია კავკასიის ერების და უკრაინის დამოუკიდებლობის დაცვა, მოთავსებულია შემდეგი წერილები: მეთაური «მოსკოვის საგარეო პოლიტიკა; პროფეს. Scelle-ის «მშვიდობიანობა და ფედერალიზმი», ჩ. შავიშვილის «გერმანიის მიღება ნაციათა ლიგაში და რუსეთის მიერ დამონებული ერები», Coquet-ს «საქართველოს საკითხი»; შამილის «რუსეთი და ჩრდილო კავკასია»; ხოდოროგის «უკრაინა და აღმოსავ. ევროპა» და ქრონიკა ჩრდილო კავკასიის, საქართველოს, უკრაინის და რუსეთის ცხოვრების.

წერილები რედაქციის მიმართ.

I.

ბატონო რედაქტორო!

რადგან საშუალება არა მაქვს პასუხი გავსცე ყველა იმათ, ვინც სამძიმარი და თანაგრძნობა გამოგვიცხადეს დიდი უბედურობის გამო, რომელიც დაგვატყდა მე და ჩემს ოჯახს, ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით მიუძღვნა უღრმესი მადლობა მეგობრებს და ნაცნობებს, რომელთაც პირადად თუ წერილობით პატივი სცეს ჩვენი უდროოთ დაღუპული ძვირფასი შვილის რაშიდ ბეი ტოპჩიბაშის ხსოვნას.

ღრმა პატივისცემით

ა. ტოპჩიბაში.

14 იანვარი 1927 წ.
პარიზი.

II.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთის ფურცელზე ადგილი დაუთმოთ შემდეგ განცხადებას: ამ წლის 15 იანვრიდან ჩვენ გავედით «თეთრი გიორგი»-დან და არავითარ კავშირში ამ ორგანიზაციასთან აღარ ვიმყოფებით.

ნიკო ჯეგბუაძე,
მიხეილ გეფია.

20 იანვარი 1927 წ.
ქ. პარიზი.

Rédaction et Administration.
M. J. GOBETCHIA
18, Rue des Acacias, Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.

Le Gérant : LARGILIÈRE.